პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 199 (3176)

12 1966 წ. ოქტომბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

- ე. ერერა: „იტალიის ფეხბურთის რეაბილიტაცია ჩვენს ხელთაა“.
- ტუიბული გაუმასპინძლდება „ბ“ კლასის ფინალისტებს.
- მექსიკური ფრეგატი კოლუმბის ნაკვალევზე.
- სტენლი როუზი ვილის მადლობელია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ...

◆ **ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ, 11 ოქტომბერი.** ქრისტეფორე კოლუმბის სამშობლო ქალაქის — გენუის ყოველწლიური პრიზი — „ოქროს კარაველა“ კოლუმბის დღეს — 12 ოქტომბერს გადაეცემა ეთიოპიის საიმპერატორო გვარდიის ლეიტენანტს, ორი ოლიმპიადის ჩემპიონს მარათონულ რბენაში აბებე ბიკილას. ამ საპატიო ჯილდოს იხვეჭენ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები. საბჭოთა ათლეტებიდან „კარაველას“ მფლობელი იყო ვალერი ბრუმელი.

◆ **ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ,** 11 ოქტომბერი. **აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში პოლონეთის ერთ-ერთმა საუკეთესო მორბენალმა ა. ბადენსკიმ 400 მეტრი დაფარა 46,2 წამში.**

◆ ᲢᲝᲙᲘᲝ, 11 ოქტომბერი. გუშინ მთელს იაპონიაში წარმატებით ჩატარდა „ათლეტის დღე“. როგორც ცნობილია, შარშანწინ სწორედ ამ დღეს გაიხსნა ტოკიოს ოლიმპიური თამაშები და ყოველი წლის 10 ოქტომბერს ამ ქვეყანაში ეწყობა მასობრივი შეჯიბრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამჯერად, ჩატარდა 700-ზე მეტი ასპარეზობა.

◆ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 ოქტომბერი. ამ სეზონში უკანასკნელი სტარტი აიღო საფრანგეთის სპრინტერთა ეროვნულმა ნაკრებმა. ევროპის ჩემპიონებმა — ბერქემ, დელეკურმა, პიკემალმა და ბამბიუკმა 4×100 მ ესტაფეტაში აჩვენეს ჩიდებული დრო — 39,6 წამი. ამავე შეჯიბრებაზე მიშელ ჯაზიმ 1.500 მეტრი გაირბინა 3.41,7-ში.

◆ **ᲞᲠᲔᲢᲝᲠᲘᲐ,** (სამხრეთ აფრიკა), **11 ოქტომბერი.** აქ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მაღალი შედეგი აჩვენა 19 წლის ქალმა ჰეიდი როზენდალმა (გფრ). მან სიგრძეზე ხტომაში გადალახა 629 სმ.

◆ **ᲑᲝᲜᲘ,** 11 ოქტომბერი. **მოჭადრაკე ქალთა III მსოფლიო ოლიმპიადის VIII ტურში რუმინელებმა დაამარცხეს იუგოსლავიელები — 2:0. საბჭოთა ქალები შეხვდნენ პოლონეთის გუნდს. ამჯერად ჩვენი სპორტსმენები ნ. გაფრინდაშვილის გარეშე გამოდიოდნენ. ზატულოვსკაიამ და კოზლოვსკაიამ დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები.**

◆ **ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ, 11 ოქტომბერი.** აქ დაიწყო საერთაშორისო სპორტული კვირეული, რომელშიც 23 ქვეყნის 500-მდე სპორტსმენი გამოდის. საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები სპორტის 8 სახეობაში ეასპარეზებენ.

◆ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 11 ოქტომბერი. ტყვიის სროლაში აქ გამართულ ქვეყნის ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდები გაუმჯობესეს ადგილობრივმა სპორტსმენებმა. პოლონელების მიერ ნაჩვენებ მაღალ შედეგებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრიდან წოლილა სროლაში (60 გასროლა) მსოფლიო ჩემპიონმა ე. ზაკრეევსკამ ასეთი შედეგი აჩვენა, რაც ვისბადენში (გფრ) — 591 ქულა, მაგრამ მხოლოდ VI ადგილი დაიკავა. ჩემპიონი გახდა ე. კვასნევსკა — 594; II ადგილი წილად ხვდა ბ. ციხოვიჩს — 593 ქ. სამაგიეროდ, ზაკრეევსკა უძლიერესი იყო 3×20 სტანდარტზე სროლაში — 570 ქულა. ეს 12 ქულით უკეთესია ამერიკელ მ. ტომპსონის მიერ ვისბადენში ნაჩვენებ შედეგზე, რომელმაც მას მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანა.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

„მთის მეფე“

ერევანი (ტელეფონით). საინტერესო ბრძოლით აღინიშნა სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ოლიმპიური გუნდების შეჯიბრება საგზატკეცილო ველოსრბოლაში. 100-კილომეტრიანი რბოლა სევანის ტბის მაღალმთიან ტრასებზე მოიგო დუშანბეს წარმომადგენელმა ს. შეპელმა. მისი შედეგია — 2:32.21,0.

„მთის მეფის“ სახელი ს. შეპელმა ჯერ კიდევ ყირიმის გზებზე საკავშირო მრავალდღიანი ველოსრბოლის დღეებში დაიმსახურა. ახლა კი თავისი მაღალი სპორტული ფორმა მან 86 მონაწილესთან დაძაბულ ბრძოლაში დაამტკიცა. საათში საშუალოდ 40-კილომეტრიანი სიჩქარე მაღალმთიან ტრასაზე — არც ისე ურიგო შედეგია.

თასი რუსეთის ნაკრებს

ერევანი (ტელეფონით). აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სატრეკო ველოსპორტში. გარდამავალი გუნდური ჯილდო რსფსრ-ს სპორტსმენებმა მოიპოვეს. შეჯიბრების ბოლო დღეს ჩატარდა პროგრამის რამდენიმე საინტერესო სახეობა.

100-წრიან ჯგუფურ რბოლაში ვაჟთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ბ. არხიპოვი (უზბეკეთი), 2. ვ. დიმოვი (ტულა), 3. ვ. ბალაუევი (უზბეკეთი). ქალთა შორის ამავე სახეობაში (70 წრეზე) პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა — თ. გარკუშინამ და ნ. ჟიდინამ. III საპრიზო ადგილი წილად ხვდა ა. მალოვას (უზბეკეთი).

უზბეკეთის ველოსიპედისტთა უპირატესობით აღინიშნა გამოდეგნებით რბოლა ჭაბუკთა შორისაც. აქ გამარჯვება მოიპოვეს ნ. შილოვმა და ვ. გრაჟდანკინმა.



ᲐᲘ, ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ალმა-ათასა და ნოვოსიბირსკში დამთავრდა სსრ კავშირის პირადი პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ათლეტებმა. ოქროს 4 და ბრინჯაოს 1 მედალი — აი, როგორი ნადავლი მოიხვეჭეს მათ.

მოგვყავს ჩემპიონატის პრიზიორთა სია:

ᲣᲛᲐᲦᲐᲢᲔᲡᲘ ᲬᲝᲜᲐ. 1. ზ. შეყრილაძე (ქუთაისი), 2. ი. კიშიევი (ორჯონიკიძე), 3. ს. აბდუკარიმოვი (ალმა-ათა).

ᲛᲐᲦᲐᲢᲔ. 1. ა. ალიევი (მახაჩყალა), 2. ფ. აკოევი (ორჯონიკიძე), 3. პ. მალიანი (ერევანი).

ᲥᲕᲔᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ. 1. ზ. აბდუბეკოვი (მახაჩყალა), 2. შ. ტუგანოვი (კიევი), 3. ა. ბოგუბაევი (ალმა-ათა).

ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ. 1. ზ. ბერიაშვილი (თბილისი), 2. ი. ტინკოვი (ლენინგრადი), 3. ი. გუსოვი (კიევი).

ᲥᲕᲔᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ. 1. გ. სალარაძე (თბილისი), 2. ი. შახმურადოვი (მახაჩყალა), 3. ს. პინსკი (კიევი).

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ. 1. ბ. გურევიჩი (კიევი), 2. ა. ალბული (ლენინგრადი), 3. ა. ცხოვრებოვი (თბილისი).

ᲥᲕᲔᲛᲫᲘᲛᲔ. 1. შ. ლომიძე (თბილისი), 2. ვ. გულიუტკინი (კიევი), 3. ვ. ბრუნიჩევი (მოსკოვი).

ᲫᲘᲛᲔ. 1. ა. მედვედევი (მინსკი), 2. ა. ივანიცკი (მოსკოვი), 3. ლ. კიტოვი (მინსკი).

ᲢᲠᲣᲓᲔᲚᲗᲐ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ბაიდარებით ქალთა ნიჩბოსნობაში ისეთი წარმატებისთვის, როგორიც საკავშირო ჩემპიონატში „ტრუდის“ სპორტსმენებმა მოიპოვეს, მანამდე არავის მიუღწევია. ასტრახანში გამართულ ტურნირზე ყველა ოქროს მედალი ამ საზოგადოების სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. მათ შორის, ოთხს მსოფლიოს ჩემპიონი ლ. პინაევა (ხვედოსიუკი) დაეუფლა. ყველაზე საინტერესო იყო ორადგილიანებით ფინალური გაცურვა, სადაც პინაევა—ლევჩენკოს დუეტს ძლიერი კონკურენცია გაუწია შუბინა — სერედინას წყვილმა. უმნიშვნელო უპირატესობით გაიმარჯვეს ტრუდელებმა.

ვაჟთა ასპარეზობა სხვაგვარად წარიმართა. ოთხადგილიანი ბაიდარით 10 კილომეტრზე რბოლაში ჩემპიონი გახდა არმიელთა გუნდი — 38.46,8. ორადგილიანებით 1.000 მეტრზე ყველას აჯობეს ავანგარდელებმა — ნ. ჩუკიკოვმა და გ. კორიუხინმა — 3.43,8. ერთიანებით ამავე დისტანციაზე „ოქრო“ დაისაკუთრა არმიელმა დ. მატვეევმა — 4.08,2. ესტაფეტაში 4×500 მეტრზე ფინიშთან პირველნი სპარტაკელები მივიდნენ — 8.00,9.

ერთადგილიანი კანოებით რბოლაში 1.000 მეტრზე ჩემპიონი გახდა არმიელი ა. მარტინოვი — 4.34,8, ორადგილიანით — „სპარტაკის“ დუეტი (ვ. გალკოვი და მ. ზამოტინი)— 4.13,0. ესტაფეტაც (4×500) „სპარტაკის“ კოლექტივმა მოიგო — 9.07,6.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო შეიარაღებულ ძალთა კოლექტივი, II — „სპარტაკი“, III — „დინამო“.

ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ალმა-ათაში ახლახან გამართულ სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატში ტრიუმფალური წარმატებას მიაღწია 21 წლის კიეველმა სპორტსმენმა გალინა ბაკშეევამ. მან ქალთა ერთეულებში და წყვილებში, აგრეთვე შერეულ წყვილებში ოქროს მედლები მოიპოვა. წყვილთა შეჯიბრებებში ბაკშეევას მანამდეც მოუპოვებია ოქროს მედლები, მაგრამ ერთეულებში ასეთი დიდი წარმატება მის სპორტულ კარიერაში პირველი შეჭთხვევაა.

სურათზე: გ. ბაკშეევა თამაშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

Ე. ᲔᲠᲔᲠᲐ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ

მოსკოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია მოსკოვის „ტორპედოსა“ და მალანის „ინტერნაციონალეს“ დღევანდელი მატჩი ევროპის ჩემპიონების ჩემპიონთა თასზე. გუშინ, საბჭოთა ჟურნალისტების ერთი ჯგუფი „ინტერის“ მწვრთნელს ე. ერერას შეხვდა.

იტალიელი ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, რაც მეტად ახარებს მწვრთნელებს. თვით ერერას აზრით, „ინტერს“ თასის გათამაშების შემდგომ იტალიაში გასვლის მეტი შანსი აქვს, ვიდრე „ტორპედოს“, თუმცა არც საწინააღმდეგო ვარიანტია გამორიცხული. მწვრთნელმა პირდაპირ თქვა: „გადაწყვეტილი გვაქვს, რომ მოსკოვში უკეთესი თამაში გავჩვენოთ. იტალიის ფეხბურთის რეაბილიტაცია ჩვენს ხელთაა და შევეცდებით საამისოდ ყოველი ღონე ვიხმაროთ“.

შემადგენლობის დასახელებაზე ერერამ კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ მატჩში ვინიჩიო არ გამოვა. მწვრთნელს გადაწყვეტილი აქვს მისი ადგილი დომენგინს დაუთმოს, რომელიც უფრო სწრაფიცაა და ენერგიულიც. შემდეგ ერერამ აღნიშნა, რომ მოსკოვის მატჩში დაცვა 2 სტოპერით ითამაშებს, რადგან „ტორპედოს“ სწორედ 2 ცენტრალური თავდამსხმელი ჰყავს.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, იცნობს თუ არა იგი ამ მატჩზე დანიშნულ ესპანელ მსაჯებს, ერერას გაეღიმა. „გვერდით მსაჯებზე ვერაფერს ვიტყვი,—თქვა მან,—რაც შეეხება არბიტრს დ. ზარიჭიგიუს, კარგად ვიცნობ. იგი თავისი საქმის ჩინებული მცოდნეა“.

• • •

გუშინ დღის 11 საათზე „ინტერმა“ ლუჟნიკში წვრთნა ჩაატარა, აქ იყვნენ პიკი, ბურგნიჩი, დომენგინი, ვინიჩიო... ერთი სიტყვით, მთელი „ინტერი“ თავის საბრძოლო შემადგენლობით.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!



„ლოკომოტივი“ დაიმრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს II სპარტაკიადა. საზეიმო გახსნაზე, რომელიც „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოეწყო, მოვიდნენ თბილისის, სამტრედიის, აზერბაიჯანისა და ერევნის რაისაბჭოების, აგრეთვე, ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის საუკეთესო ათლეტები.

სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე გ. ჟორჟოლაძე, რის შემდეგ საზოგადოების საუკეთესო სპორტსმენებმა აღმართეს სპარტაკიადის ალამი და ბრძოლაში ჩაებნენ მძლეოსნები. ამ დღეს შეჯიბრებანი დაიწყო სპორტის კიდევ 8 სახეობაში, რომელთაგან ზოგიერთში პირველი გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მძლეოსანთა სტარტი. შუბის მტყორცნელ ვაჟთა ასპარეზობის წინასწარ შეჯიბრებაში თბილისელმა მ. გრიგამ (მწვრთნელი, საქართველოს დაშსახურებული მწვრთნელი ნ. ლობჟანიძე) 73,02 მეტრი აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. მანვე მოიპოვა ჩემპიონობაც. 100 მეტრზე ქალთა რბენაში ვ. ქუთათელაძემ (თბილისი) უკონკურენციოდ I თანრიგის შედეგით (12,2) გაიმარჯვა. ვაჟებში ყველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა ა. ალექსეევმა — 11,1. 400 მეტრზე ვაჟთა რბენა მოიგო ჩვენი რესპუბლიკის რეკორდსმენმა ტ. ბახტაძემ — 48,0. მას რომ ძლიერი მეტოქენი ყოლოდა, ალბათ, საქართველოს ახალი რეკორდის დაბადების მოწმენი გავხდებოდით. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს თბილისის კოლექტივი.

ძალოსნებმა დაამთავრეს ტურნირი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აზერბაიჯანის ნაკრებმა. II იყო თბილისის, III — სამტრედიის გუნდები. წონითი კატეგორიების მიხედვით პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ს. გეზალოვი — 280 კგ, ა. ტელენცი (ორივენი — აზერბაიჯანი) — 250, მ. წივწივაძე (თბილისი) — 297,5. ი. ოუსუფოვი — 330, ვ. ვასილენკო — 312,5, პ. ჰუსეინოვი (ყველანი — აზერბაიჯანი) — 382,5, ჯ. ხიზამბარელი — 370, დ. ქელიხაშვილი (ორივენი—თბილისი) — 365.

კალათბურთელთა I დღის ასპარეზობის შედეგები ასეთია: ქალები. სამტრედია — ბაქო — 56:44; ვაჟები. სამტრედია — ერევანი — 68:34, თბილისი — აზერბაიჯანი — 56:50. ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობაში თბილისის გუნდმა ერთნაირი ანგარიშით (3:1) დაამარცხა ერევნისა და სამტრედიის კოლექტივები. ანალოგიური დუბლი გააკეთეს აზერბაიჯანელებმა, რომლებმაც ამავე ანგარიშით სძლიეს სამტრედიისა და ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის ფრენბურთელებს. ქალთა შესვედრებში სამტრედიელებმა „მშრალი“ ანგარიშით წაიგეს თბილისისა და აზერბაიჯანის გუნდებთან.

დამთავრდა ტურნირი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ორივე სახეობაში გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. აზერბაიჯანი, 3. სამტრედია. მაგიდის ჩოგბურთში გაიმარჯვა აზერბაიჯანის ნაკრებმა. II იყო თბილისის, III — სამტრედიის გუნდები.

სპარტაკიადა გრძელდება.

ო. ივდოშვილი.

სურათებზე: ზევით — სპარტაკიადის გახსნის აღლუმზე. ქვევით — მ. გრიგა ტყორცნის შუბს.

ფოტო ავტორისა.

დრო ა რ ი თ მ ე ნ ს

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას“ გამგეობის ხელმძღვანელებს საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების შესასწავლად გვწვიეთ. დებულების თანახმად, მომავალ სპარტაკიადაზე საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივები სპორტის 5 სახეობაში: ვოლოსპორტში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და ცურვაში მიიღებენ მონაწილეობას. ამ რთულ პროგრამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ დიდ ფორუმზე აგზავნს მხოლოდ პირველთანრიგოსნები და ოსტატები მიიღებენ, ცხადი გახდება მწვრთნელთა და სპორტსმენთა საზრუნავი. ახლა ერთი დღეც არ შეიძლება უქმად დაიკარგოს. მომავალ წარმატებათა ბედ-იღბალი ხომ მოსამზადებელი პერიოდის გონიერულად გამოყენებაზეა დამოკიდებული.

მასპინძლებმა საქმე იდეალურად წარმოგვიდგინეს. სინამდვილეში სპორტკლუბის ხელმძღვანელებს არ უფიქრიათ ნაკრები გუნდების ყოველდღიურ საქმიანობაზე, ნორმალური წვრთნის ხელშემშლელ პირობებზე, რომელიც კარგა ხანია მწვრთნელებსა და სპორტსმენებს აწუხებთ.

ნაკრები გუნდების წვრთნაზე რომ რეალური წარმოდგენა გვქონოდა, გადავწყვეტდეთ მწვრთნელებსა და მათ აღსაზრდელებს გავსაუბრებოდით. პრინციპულნი და გულახდილნი ხამწუხაროდ, არც მწვრთნელები გამოდგნენ. ველოსპორტში ნაკრები გუნდის მწვრთნელმა, პირველთანრიგოსანმა ინჟინერმა ვ. გერსამიამ ყველაფერი ინვენტარს გადააბრალა — ველოსიპედები უვარგისი არისო. სხვა ხელშემშლელი ფაქტების დასახელება კი არ ისურვა. თავად გვითხრა: ზემოხსენებული მიზეზის მიუხედავად, ბიჭები მაინც სისტემატურად და ენერგიულად ვარჯიშობენო. სინამდვილეში ასე როდია საქმე. ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო სპორტსმენმა, სპორტის ოსტატმა რ. მანიამ სინანულით აღნიშნა, რომ უკანასკნელი ვარჯიში მათ 2 კვირის წინათ ჰქონდათ.

ძალოსანთა ნაკრებ გუნდს სპეციალისტი ბ. კუპუხიძე უდგას აათვეში. მართალია, სპორტსმენებს ბაზაზე სამდურავი არ ეთქმით, მაგრამ ინვენტარისა და დამხმარე იარაღების ნაკლებობას ისინიც განიცდიან. უვარგისია ფიცარნაგი, არა აქვთ სპეციალური სპორტული ტანსაცმელი და სხვ.

საგანგაშოა მძლეოსანთა გუნდის მომზადების საქმე (მწვრთნელები ს. ფრიდმანი, ე. გოჭაძე). ქარხანას არ გააჩნია მძლეოსნური ბილიკები და სექტორები. უახლოესი ბაზა, სადაც სპორტსმენები ვარჯიშობენ, ქარხნისგან 8 კილომეტრითაა დაშორებული და ყველაფერი რიგზე არც იქაა. ამიტომაც გაუჭირდათ დასახული პროგრამის ათვისება, ხშირია ვარჯიშთა გაცდენის შემთხვევები, სუსტად გამოიყურება გუნდის შემადგენლობა. ნაკრებში III და II-თანრიგოსნები ჭარბობენ.

ავტოქარხნელი ტანმოვარჯიშეები ტ. კომისარენკო, ვ. ჩუბინიძე, ვ. ნიჟარაძე და სხვები, უკვე ცნობილი სპორტსმენები არიან. მათ და მათ მეგობრებს დიდი პურვილი აქვთ ავტომშენებელთა ღირსება დაიცვან მომავალ სპარტაკიადაზე. სამწუხაროდ, ნაკრების ვარჯიშები, რომელსაც სპორტის ოსტატი, ინჟინერი შ. რევაშვილი ხელმძღვანელობს, ჯერჯერობით ნაკლებნაყოფიერია — ათლეტები მოკლებულნი არიან მუსიკის თანხლებით ილეთების შესრულებას (ეს ხომ აუცილებელიცაა). ისინი დღემდის ვერ უზრუნველყვეს სხტომი ბოგით, ხალიჩებით, დამზდვევი ქამრებით და სხვ.

ყველაზე აავალალო მდგომარეობაშია ცურვა. დღემდე არ დაუკომპლექტებიათ ნაკრები. იყო დრო, როცა ქარხანამ საცურაო აუზის მშენებლობა დაიწყო, მაგრამ...

სპორტის ცალკეულ სახეობებში წარმატებათა მოპოვება შეუძლებელია საერთო-ფიზიკური მომზადების გარეშე. ავტოქარხნელთა ნაკრები გუნდების საქმიანობაში კი არც ეს საკითხია მოგვარებული. საერთო ნაკლად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ აქ ცუდადაა დაყენებული სპორტსმენთა საექიმო კონტროლი. ქარხნის ზოგიერთი საამქროს ხელმძღვანელები ნაკრები გუნდის წევრებს სუსტად ეხმარებიან შრომისა და სპორტის ორგანიზაციის საქმეში.

როგორც ხედავთ, ქუთაისელი ავტოქარხნელები სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ხერხოზულ დაბრკოლებათა წინაშე არიან. სპორტსმენთა ნორმალური წვრთნის ხელისშემშლელი მიზეზები ამთავითვე უნდა აღმოიფხვრას, ვინაიდან დრო არ ითმენს.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი — თბილისი.

ქუთაისელებმა ყველას აჯობეს

დამთავრდა „ლოკომოტივის“ სამტრედიის რაისაბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 7 სახეობა. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ სოხუმის, ბათუმის, ზუგდიდის, ფოთის, სამტრედიისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები. საერთო ჩათვლაში გაიმარჯვეს ქუთაისელებმა, რომლებიც პირველები იყვნენ აგრეთვე, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. მათ მეორე ადგილი მოიპოვეს მძლეოსნობაში, ხოლო მესამე — მაგიდის ჩოგბურთში.

ი. ბუხაიძე.

გაღაფყვეტს ვატჩი

დამთავრდა ოსტატობის კანდიდატთა ტურნირი ჭადრაკში. გამარჯვებულება ჩვენი დედაქალაქის ჩემპიონატის ფინალში გამოვლენ.

ბოლო, მეთერთმეტე ტურში ჰ. არნშტეინ —ს. ჩეჩელიანის პარტია ყაიმით დასრულდა. ამან საშუალება მისცა გ. მაჭავარიანს გ. ციხელაშვილთან მოგების შემდეგ დასწეოდა ს. ჩეჩელიანს. მათ 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. რადგან ამ ასპარეზობიდან ამიერკავკასიის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1 გამარჯვებულს ენიჭება, ამიტომ გ. მაჭავარიანსა და ს. ჩეჩელიანს შორის გაიმართება მატჩი 4 პარტიისგან.

6-6 ქულით III-V ადგილები გაიყვეს გ. ციხელაშვილმა, ე. უბილავამ და ე. მიქაელიანმა. ე. უბილავას შეეძლო უკეთესი ადგილისთვის ბრძოლაც, მაგრამ ყაიმების დიდმა რიცხვმა (8 ყაიმი თერთმეტიდან) არ მისცა ამის საშუალება.

საიუბილეო სპარტაკიადა

გაგრძელება მეექვსე გვერდზე

ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის „კოლმეურნის“ საოლქო პირველობაზე ფრენბურთში მონაწილეობდა ზნაურს, ჯავის, ცხინვალისა და ლენინგორის რაისაბჭოების გუნდები. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ზნაურელმა ფრენბურთელებმა. ორივე გუნდს გადაეცა „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს გარდამავალი თასები.

ვ. მელქაძე.

თელავი

თელავის რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ძალოსანთა შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა ქვესშეალო წონის სპორტსმენი ა. სამხარაული („კოლმეურნე“), რომელმაც სამეიდის ჯამში 385 კილოგრამი დააგროვა და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ნ. ავეურაშვილი.

ცხინვალის სპორტულ ბაზებზე რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი IV რაიონული სპარტაკიადა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა და ფეხბურთი.

ქართულ ჭიდაობაში ძლიერი გუნდი გამოიყვანა თამარაშენის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა, რომელმაც I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გამოვიდა ქსუისის, ხოლო III — აჩაბეთის გუნდები. წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ქისიევი (ქსუისი), ვ. ქრისტესიაშვილი (ერედვი), შ. ბლიაძე (ეკეხვი), ა. ბაბუცაძე (აჩაბეთი), გ. ფუბაევი, ი. ბაზაევი, გ. დვალიშვილი და გ. თანდელოვი (ყველანი — თამარაშენის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი).

ფრენბურთელთა ასპარეზობაში მონაწილეობდა 10 კოლექტივი. ვაჟთა გუნდებში გაიმარჯვეს გროშელმა ფრენბურთელებმა, II ადგილზე გავიდნენ ვანათელები, III — კევხელები. ქალთა გუნდებშა უძლიერესის სახელი მოიპოვა კეხვის საშუალო სკოლამ. II ადგილზე გამოვიდნენ აჩაბეთელი სპორტსმენები, III — ვანათელები.

მძლეოსანთა შორის სხვადასხვა სახეობაში რაიონულ სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს: ა. ბიძანაშვილმა (ვანათი), ვ. მამიევმა (თამარაშენის საბჭოთა მეურნეობა), ნ. მეტრეველმა (ერედვი), მ. ქრისტესიაშვილმა (ერედვი), მ. გოგიძემ (ძარწემი), ი. გოიაევმა (არცევი), ი. ყასრაძემ (ძარწემი), ა. ბელოევმა (არცევი), ი. მელანაშვილმა (ეკეხვი), ვ. ბერუაშვილმა (ერედვი). 4×100 მ ამანათრბენში გამარჯვებული გამოვიდნენ კეხვის ქალთა და ერედვის ვაჟთა გუნდები. უნდა აღინიშნოს, რომ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ძალზე დაბალი შედეგები იქნა ნაჩვენები.

ვ. მელკოევი.
(ჩვენი კორ.).

26 ოქტომბერს თბილისში დაიწყება პიონერთა III რესპუბლიკური თამაშების ფინალური შეხვედრები. გაიმართა I ეტაპის შეხვედრები (რაზმეულების პირველობა), ახლა კი მიმდინარეობს II ეტაპი (სარაიონო და ხაჭალაქო პირველობანი). ეს სურათები მოგვითხრობენ თბილისის 126-ე საშუალო სკოლის პიონერთა რაზმეულში ჩატარებულ ასპარეზობათა შესახებ. ქვემო სურათზე აღბეჭდილია ამ სკოლის VII² და VII³ კლასების კალათბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი; ზევით — 60 მეტრზე რბენის ფინიშთან.

ფოტო ლ. ეფენტისა.

რა ახლოა მყინვარი!

ფოტოეტიუდი ზ. ჭეხაშვილისა.

ალექსანდრე ორბელიანი

ჩოგნაობა* ანუ ბურთაობა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ალექსანდრე ორბელიანის ჩანაწერების რვეული (Ş-1650). უმეტესი ნაწილი ამ ჩანაწერებისა თელავის აღწერილობაა, ან ერეკლე მეფის ცხოვრების ამ ქალაქთან დაკავშირებულ მომენტებს ეხება. ბოლოს კი ძირითად ტექსტს დართული აქვს აღწერა ერეკლეს თაოსნობით თელავის ახლოს გამართული ცხენბურთისა, რის შესახებაც ალექსანდრე ორბელიანისთვის ამ ასპარეზობის მნახველთ უამბნიათ.

იტყვიან, უწინდელი ქართველები ჩინებული ვაჟკაცნი იყვნენო. რასაკვირველია, უთუოდ ასე იქნებოდა, ამისთვის, რომ სულ ამ გამოცდილებაში იყვნენ როგორც მტრისაგან, ისე შინაურობაში: ამსედრებულები ცხენზედ ვარჯიშობდნენ, დიას, ხშირად.

ერთ დროს მეფე ირაკლიმ, დიას, გამოჩენილი პურობა გადიხადა თელავს, იმ თავის საღხინოში, სადაც ძველს ამბავს იტყოდიან ერთი-მეორი ვაჟკაცობას და ამასთან, სადაც გალობა, სიმღერა და ღიღინი, მხიარულ-სიხარულით გარდიხდებოდა წარჩინებულს ნადიმზედ.

ნადიმი დასრულდა (მე ამას ისე ვლაპარაკობ, მითამ მკლ იქ ვყოფილვარ) და მეფე ჯამობრძანდა უცხთ მორთული გარეთ. წელზედ ნადირშას ხმალი ეკრა ძვირფასის თვლებით შემკობილი და საქართველოს გამოჩენილ ვაჟკაცთ გადასცა დიდი სიამოვნით, იმ ვაჟკაცთ, რომელთაც ძლიერის მტრის დამარცხება არ უჭდრიებოდათ. ამ დროს შეხედეს მეფეს ირაკლისა — ერთ მშვენიერს, მომაღლოსა, ლეჯრჯსა ცხენსა მოაფრინდა, ვითა შავარდენი ფრიალოსა და სადაგე გაუსწორა რვა ლურსმით დაქედილსა ცხენსა, რომელსაცა (ამ ცხენს) ვერ ჰა ოსისვან** ანუ საყვარელი ხელმწიფისა. მნახველთაგან გამიგონია, მშვენიერებით დასატკბესა გვანდა ის ცხენიო; რომ მცირედი ნაკლულევანება იმაში არ იყო რაო. ამ ცხენს უსანგი ჰკრა მეფემ და ასეთი სიარულითა წავიდა, მდინარე წყალის წაქცევასა გვანდაო, მნახველთ უთქვამთ,

---

* საბა-ორბელიანის ლექსიკონში ნიშნავს: ჩოგანი — საბურთალი კავი. საბურთალი კავი ამგვარი ყო: ტარი ჰქონდა ერთი მკლავის სიგრძე, თავი კომბალავით მოყვანილი, ბოლო ერთი მტკველი. მრგვალი ნიჩაბი და ამის ნაპირი ერთი გოჯი სიმაღლე მოვლებული ვარშემო, რომლითაც ბურთაობდნენ ისე, როგოც ალეწერთ (შენ. ავტორისა).

** თათრული სიტყვაა. ეს ცხენი ქვემო ქვეყნიდგან მოურთმევიათ ორი წლის კვიცი და ასეთი ცუდი სანახავი ყოფილა, რომა მეფე ირაკლის რიგიანად არც შეუხედავს. ამ დროს ქიზიყის მოურავი თამაზ იქ ხლებია და იმას მოუხსენებია, რადგან არ მოგწონთ, მე მიბოძეთო. მიუცია, მაგრამ შემდეგ სრულ ცხენად რომ უნახავს, გაჰკვირვებია მეფეს: ეს ამისთანა საკვირველი ცხენი სად გიშოვიაო. მოუხსენებია (თამაზ): ის თქვენი დაუუნებული კვიცი გახლავთ, რომელიც თქვენ არ მოგეწონათო. ამასთანავე, გადამხტარა და მეფისთვის მაურთმევია. ის ცხენი თურქმანის ქვეყნიდგან ყოფილა (შენ. ავტორისა).

იმ ცხენის სიარული თუმცა თოხარიკი არ იყო, მაგრამ ნაბიჯი სიარული, დიახ, ჩქარი ჰქონდა და ზედ მჯდომსაც არ ანჯღრევდა მცირედ.

თავმოსაწონებელი მეფის ირაკლის მცირე რაზმი უკან მიჰ-დევდა მეფეს — დაწკეპილი ორი ათასი, თუ მეტ-ნაკლები, საქართველოს თავად-აზნაურნი, უცხოს დარასტტელის და საუცხოოს ცხენებითა, რომელიაც ათიათასს მტერსა არ დაერიდებოდა და შეუპოვრად შეუტევდნენ, ვითა გავაზი გუნდსა ტრედისა. ყოველ ამათ თვითეულად მარჯვენა ხელში თვითო ჩოგანი ეჭირათ, ზოგი მოვარაყული და ზოგი სხვადასხვა ფერად დაჭრელებული.

ერთიანი ეს რაზმი თელავს ქვემოთ მინდორზე ჩავიდა. ორს რაზმად გაიყენენ ამ მინდორზედ, ერთი ერთს მხარეს დადგა და მეორე მეორეს მხარეს. ერთი ცხენის გასაჭენებელი მინდორი შუაში დაიგდეს და თვითო ბაირახი თავთავის რაზმის თავსა მიწაში დაურჯეს.

მცირე ხანი აღარ გამოვიდა, რომ ოქროთ დარასტტელის ცხენით დედოფალი დარეჯან მობძანდა სადედოფლო წითელი ხავერდის წამოსასხამით. ამას დიდი კაცების ცოლები ახლდნენ დარასტტელის ცხენებით. ამათი წამოსასხამი თუმცა ძვირფასობით დედოფლის წამოსასხამს არ შეედარებოდა არც ერთი, მაგრამ მაინც საუცხოო წითელი ხავერდის წამოსასხამი ესხათ ყველას. ერთობ ესენი ცხენიდგან გადასტტნენ, მივიდნენ მშვენივრად გაკეთებულს დიდ ფანჩატურში, სადაც სპარსულს საფენზე დაბრძანდნენ გამწკრივებული წყობით და ყურება დაუწყეს პირდაპირ...

მეფე ირაკლიმ ოქროსფერი მოვარაყულის ჩოგნით წითელი სამოგვის ბურთი, პატარა ყმაწვილის თავის ტოლა, ჩოგნით აიღო და ჩოგანში თამაშობით შაისვანი ცხენი წინ გაიგდო ორ რაზმებთა შორის. თვალი ეჭირათ ყველას, რომელს რაზმსა გადაუგდებს ბურთსა. ჯერ კარგა ხანი ასე ათამაშა სხვადასხვის ნავარდობით. მასუკან პირველ რაზმსა შეუგდო ბურთი და შორიდან შესტყორცნა. თვითონ თავის დიდკაცებით გამობრუნდა. მოვიდნენ და ესენიც ფანჩატურში დასხდნენ მწკრივად, მაყურებელი ბურთაობისა.

მეფემ ირაკლიმ რომ ბურთი შესტყორცნა, იმ პირველმა რაზმმა წამოიღო ბურთი ერთიერთმანეთზე გადათამაშებით. უნდოდათ მეორე მხრის ბაირახთან გაეტანათ და ამითი დარჩენოდათ სახელი. მაგრამ მეორე რაზმი წამოეგება პირველ რაზმსა და დაერივნენ ერთმანეთში. ხან აქეთ და ხან იქით გადაუგდებენ ბურთსა ერთმანეთის რაზმის მხედართ. უნდოდათ ერთიერთმანეთისათვის მოეტაცათ ბურთი და როგორმე გაეტანათ დანიშნულს მხარეზე. ირეოდნენ და ირეოდნენ. მაგრამ არა ეშველათ რა; ვერა-რომელმა ვერ გაიტანა და მზეც დაეწვერა ჩასასვლელად. იტყოდნენო: იმ დღეს ასე ჯაფრთხილებულები იყვნენ მებურთალ მეჩოგნენიო, რომ არც ბურთი მიწაზე დაცემულა, ხელის შეშველება ხომ დიდი სირცხვილი იყო, ისე ჩოგნით უნდა ეტრიალებინათ და კიდეც ატრიალებდნენო. არც დასასვენებლად დამდგარან მზის ჩასვლამდისინაო. ცხენების შეჯახება ხომ დიდი სირცხვილი იყო და ამის გამ-აცდელი რაღა ძოსდებოდაო, მაშინ, როდესაც ერთმანეთში არეული მიაჭენ-მოაჭენებდნენ და ბურთს დაუცხრომელად ერთმანეთს შესტყორცნიდნენ გასატანათაო. გარდა ამისა, მეფის ირაკლის ეს მცირე რაზმი რომ ენახა ვისმე ოქრო-ვერცხლ ყაწიმბიანი, თვალისათვის უკეთესი სანახავი რაღა უნდა ყოფილიყოო. ნამეტნავად იმ ბურთაობაში ის თვითეული მხედარი დიდრონს გმირს გვანდაო და ჰაეროვნებით უკეთესს რაღა: ნახავდა კაციო.

მზის ჩასვლამდისინ ვერა-რომელმა მხარემ რომ ვერ გაიტანა ბურთი, ცხენ-კაციანთაც დიდად დაიღალნენ. მეფემ უბძანა გაშველება. ამასთანავე თელავისაკენ წამოვიდნენ ერთობ მადრანი მეფის საჩუქრითა. ეს ამგვარი ბურთაობა, დიახ, ხშირად ყოფილა ჩვენ ქვეყანაში ძველის დროებიდგანვე უკანასკნელს დრომდისინ.

მასალა მოგვაწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-მუშაკმა ზ. ალექსიძემ.

ᲡᲐᲮᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● რომი, 10 ოქტომბერი. აქ გაიმართა რსფსრ-ისა და იტალიის ახალგაზრდა მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩი, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს — 105:96. მოსკოველმა ვ. გავრილოვმა და კუიბიშეველმა ა. სტადნიკოვმა სიმაღლეზე ხტომაში 210 სმ აჩვენეს, სიგრძეზე ხტომა მოიგო როსტოველმა ვ. სიბენკომ — 742 სმ-ით. ტყორცნა — მინსკელმა ი. აშმარინმა — 61,34 მ. მასპინძლებისგან აღსანიშნავია იუნიორთა ევროპის ჩემპიონის რ. კრამეროტის გამარჯვება შუბის ტყორცნაში — 72,40 და ვ. ჯერვაზინისა — 800 და 1.500 მეტრზე რბენაში (1.51,6 და 3.55,2).

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

2:0

გუშინ, მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის I ჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ოდესის „ჩერნომორეცი“. მატჩი დამთავრდა დედაქალაქის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0 (1:0). ბურთები გაიტანეს: ჩისლენკომ და მასლოვმა.

გათამაშების ცხრილი



მდგომარეობა 11 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჯ.
„ᲛᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ“ (ვილნიუსი)	29	17	6	6	44—22	40
„ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲚᲬᲘᲩᲘᲙᲘ“ (ივანოვო)	29	12	13	4	44—23	37
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (კიროვაბადი)	29	12	13	4	33—13	37
„ᲨᲣᲑᲐᲜᲘ“ (კრასნოდარი)	29	13	9	7	33—17	35
„ᲠᲣᲑᲘᲜᲘ“ (ყაზანი)	29	13	9	7	28—19	35
„ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲐ“ (რიგა)	28	12	8	8	38—25	32
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (თბილისი)	29	10	12	7	37—34	32
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ბათუმი)	29	11	7	11	31—32	29
„ᲗᲔᲠᲒᲘ“ (გროზნო)	30	9	11	10	22—27	29
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (ნალჩიკი)	29	10	8	11	22—29	28
„ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ“ (ვოლგოგრადი)	29	9	8	12	28—35	26
„ᲠᲝᲡᲢᲔᲚᲛᲐᲨᲘ“ (როსტოვი)	28	7	11	10	30—35	25
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (სტავროპოლი)	30	8	9	13	22—30	25
„ᲑᲐᲚᲢᲘᲙᲐ“ (კალინინგრადი)	29	8	9	12	20—30	25
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (გომელი)	29	6	12	11	13—25	24
„ᲨᲘᲠᲐᲙᲘ“ (ლენინაკანი)	30	7	7	16	24—46	21
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ტალინი)	29	4	6	19	16—43	14

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ხანგრძლივი მგზავრობის და მასთან დაკავშირებული ხარჯების თავიდან აცილების მიზნით „ა“ კლასის II ჯგუფის ფეხბურთელთა ბევრმა კოლექტივმა თხოვნით მიმართა ფედერაციას, რათა არ ჩატარდეს ყველა 53 ადგილის გამოსავლენი მატჩები. ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ყურად იღო ეს თხოვნა და გადაწყვიტა დასკვნითი მატჩები გამართოს მხოლოდ 6 პირველი ადგილის გამოსავლენებლად. რსფსრ-ს და უკრაინის გუნდებისთვის, რომლებიც დაგროვებენ ქულათა თანაბარ რაოდენობას და რომლებსაც „ბ“ კლასში გადასვლის საშიროება ემუქრებათ, დანიშნება სპეციალური ტურნირი ადგილების საბოლოო დაზუსტებისთვის.

ერევნის, გროდნოსა და ტყიბულის სპორტულმა ორგანიზაციებმა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას მიმართეს თხოვნით „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერეს კოლექტივთა ფინანსური ასპარეზობის გამართვის უფლებაზე. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ შეჯიბრების ტყიბულში ჩატარება გადაწყვიტა. გათამაშების ფორმულა: 1 წრე და 3 სათამაშო დღე — 23, 26 და 30 ოქტომბერი.

ფიზკულტურის კოლექტივებს შორის სსრ კავშირის თასზე ლვოვის გუნდისა და ლანჩხუთის „ბურიას“ მატჩის დროს მოედნიდან გაძევებულ იქნა ლვოველთა კაპიტანი ი. ბაზილევიჩი (მსაჯთან კამათისთვის) და ნ. სემერჯიანი (უცენზურო სიტყვებისთვის). სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ ორივე ფეხბურთელს თასის გათამაშების დამთავრებამდე დისკვალიფიკაცია მისცა.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ

გაზეთ „თბილისის“ რედაქციამ დაარსა ტრადიციული სპეციალური პრიზი იმ მოთამაშისთვის, ვინც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს „ა“ კლასის I ჯგუფის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ მატჩში.

სურათზე: „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ზუგდიდში. თამაშობენ ადგილობრივი „ენგური“ და გურჯაანის „ალაზანი“.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ქუთაისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ 3 დღეს გრძელდებოდა ახალგაზრდა მოკრივეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. შეჯიბრებებმა გამოავლინა მთელი რიგი ნიჭიერი სპორტსმენები. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს: ს. ნერიკავენკომ (რუსთავი), ვ. პობედინსკიმ (ბათუმი), ვ. უჩანეიშვილმა (ფოთი), თ. შალაბერიძემ (ქუთაისი), ს. ჩიქოვანმა, პ. ბაღდასარიანმა (ორივენი — თბილისი), მ. გიორგაძემ, (ქუთაისი), ვ. მოლდოკანოვმა, ს. გუცულმა (ორივენი — თბილისი). მჩატე წონაში პირველობა არ გათამაშდა.

ყოველი მხრიდან

ვილის მილიონი

ფეხბურთელთა ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემამ და თავისებურმა სიმბოლომ — ვილიმ მილიანად გაუმართლა მოლოდინი საქმოსნებს. ამის შესახებ იუწყება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალური წარმომადგენელი. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საქმოსნებისგან, რომლებმაც ვილი გამოიყენეს თავიანთი ნაწარმის რეკლამისთვის და მსოფლიო ჩემპიონატის ემბლემით ათასნაირ საგნებს უშვებდნენ, მილიონ გირვანქამდე სტერლინგი მოიხვეჭეს.

ინგლისური პრესა აღიარებს, რომ ზემოაღნიშნული თანხა არ არის რეალური, თუ კი მას შევადარებთ ფაქტიურ შემოსავალს, რომელიც მიიღეს ინგლისელმა საქმოსნებმა ვილის წყალობით. მხოლოდ დიდი ფირმები უხდიდნენ მოგების პროცენტს საერთაშორისო ფედერაციას, ხოლო სასტუმროების, რესტორნების, ლუდხანების მეპატრონეებს, რომელთა პროდუქციას ჩემპიონატის დროს ალამაზებდა ვილის გამოსახულება, არაფერი გადაუხდიათ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისთვის.

ამას გარდა, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ გამოაცხადა, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ბილეთების გაყიდვით მიიღეს 1 მილიონ 400 ათასი გირვანქა სტერლინგი (ვილის შემოსავალი ცოტა უფრო ნაკლებია). 450 ათასი გირვანქა სტერლინგი მათ მოუტანა სატელევიზიო გადაცემებმა და კინოფილმებმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონატის ორგანიზაციის ღირებულება მხოლოდ 800 ათას გირვანქა სტერლინგს უდრის, არც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია და არც ინგლისური ასოციაცია არ დაზარალებულა. როცა ფულად შემოსავლის ამბავი გაიგო, ფიფა-ს პრეზიდენტმა, სტენლი როუზმა განაცხადა: „ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი კარგი ბიზნესი იყო“.

კოლუმბის გზით

სრული დატვირთვით მუშაობს 1968 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი მექსიკაში. ამ თვეში აქ მოეწყობა საერთაშორისო სპორტული კვირეული. ამავე დღეებში მეხიკოსიტში გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომა, რომელიც განიხილავს თამაშებისთვის მზადების საკითხებს. მექსიკის ეროვნული კომიტეტისა და უმაღლესი სპორტული სკოლის ინიციატივით მოეწყობა იმ მსაჯთა კოლოქვიუმი, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებს.

დაწყებულია ოლიმპიური სტადიონის გაფართოება. საერთაშორისო სპორტულ კვირეულზე ჩამოსული სპორტსმენები და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები დარწმუნდებიან, თუ როგორი სწრაფი ტემპით მიდის მშენებლობა. საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ოლიმპიური სტადიონი გათვალისწინებულია 80 ათასი მაყურებლისთვის.

საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ბერეთვე შეტად საჭირო გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ოლიმპიურ ცეცხლს. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ოლიმპიური ცეცხლი დაინთება ოლიმპოს მთაზე თამაშების დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე. შემდეგ ცეცხლი მექსიკური ფრეგატით ივლის იმ გზებით, რომლებითაც ქრისტეფორე კოლუმბმა 1492 წელს აღმოაჩინა ამერიკა.

ჩოგნები... ფოლადისგან

დღემდე ჩოგბურთისთვის განკუთვნილ ინვენტარს ყოველთვის ამზადებდნენ სპეციალური ჯიშის მაგარი ხისგან. იცვლებოდა ჩოგნის ფორმა, წონა და სხვ. მაგრამ აქამდე აზრად არავის მოსვლია, რომ ხე რაიმე მასალით შეეცვალათ.

ამ იდეას მხოლოდ შარშან ჩაუფიქრდა ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი რენე ლაკოსტი. მან აფიქრა, რომ ეკანასკნელ ხანებში ჩოგბურთში საგრძნობლად გაიზარდა დარტყმის ძალა, რის გამოც ხშირად საგრძნობლად ფუჭდება ჩოგანიც. ამას გარდა, ეს ინვენტარი ძალზე ძვირი ჯდება და ხელმუწვდომია ბევრისთვის და წინადადება წამოაყენა, დაამზადონ ფოლადის ჩოგნები. პირველ ხანებში მის ინიციატივას წინ აღუდგნენ. შემდეგ ლაკოსტმა გააკეთა ლითონის რამდენიმე ჩოგანი და თხოვა მეგობრებს გამოეყენებინათ იგი. ახალი ჩოგნის აღიარებას შემდეგმა მოვლენამ შეუწყო ხელი: ფრანგმა ჩოგბურთელმა პიერ დერმონმა თავისი ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო სწორედ ახალი ჩოგნით.

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ზონალური ტურნირის შედეგები

ესპანეთში დამთავრდა ქალთა მსოფლიო საჭადრაკო პირველობის ზონალური ტურნირი, რომელშიც 16 ოსტატი მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა ცნობილმა იუგოსლავიელმა ოსტატმა ვ. ნედელკოვიჩმა, რომელმაც 12,5 ქულა მოაგროვა და კვლავ მოიპოვა პრეტენდენტთა ტურნირში გამოსვლის უფლება. II-III ადგილები გაიყვეს ტ. შტადლერმა (იუგოსლავია) და ს. ვეენინგენმა (ჰოლანდია). ტ. შტადლერი და ამერიკელ ითამაშებენ პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც გაისად მოეწყობა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

„ინტერი“ წინაა

იტალიის ჩემპიონმა, მილანის „ინტერნაციონალემ“ გასულ შაბათს საკუთარ მოედანზე დამამარცხა ფერარას „სპალი“ — 2:1. კვირას ჩატარდა IV ტურის დანარჩენი მატჩები: „ბოლონია“ — „ტორინო“ 2:1, „ფოჯა“ — „კალიარი“ 0:0, „იუვენტუსი“ — „ბრეშია“ 0:0, „ლანეროსი“ — „რომა“ 0:1, „ლაკო“ — „ატალანტა“ 1:3, „მანტოვა“ — „ლეკო“ 1:1, „ნაპოლი“ — „მილანი“ 3:2, „ვენეცია“ — „ფიორენტინა“ 2:6. სნაპერთა სიას ლიდერობენ ს. მაცოლა („ინტერი“) და კ. ჰამრინი („ფიორენტინა“). თვითეულს გატანილი აქვს 6 გოლი.

	თ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე“	4	13:1	8
„ნაპოლი“	4	7:2	8
„იუვენტუსი“	4	7:1	7
„კალიარი“	4	6:0	6
„მანტოვა“	4	5:4	5

(საკ. ინფ.).

დ. ლოუს 2 ბურთი

ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში პირველი დამარცხება განიცადა გათამაშების ლიდერმა — ლონდონის „ჩელსიმ“. მას ანგარიშით 3:1 მოუგო „ბერნლიმ“. ორი გოლით აღინიშნა თავისი დაბრუნება მინდორზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა დ. ლოუმ. მანჩესტერელებმა ბლეკპულში დაამარცხეს ადგილობრივი „ბლეკპული“ — 2:1. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „მანჩესტერ სიტი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 1:2, „ლივერპული“ — „ფულჰემი“ 2:2, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „ევერტონი“ 2:3, „არსენალი“—„ნიუკასლ იუნაიტედი“ 2:0, „ასტონ ვილა“ — „ლიდს იუნაიტედი“ 3:0, „ლეისტერ სიტი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 3:0, „შეფილდ უენსდეი“ — „სტოკსიტი“ 1:3, „საუდჰემპტონი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 2:3, „სანდერლენდი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 2:2.

	თ.	ბ.	ქ.
„ტოტ. ჰოტსპ“. (ლონ.)	11	23:14	17
„სტოკ-სიტი“	11	17:7	16
„ჩელსი“ (ლონდონი)	11	24:12	16
„ლეისტერ-სიტი“	11	30:16	16
„ბერნლი“	11	19:11	15

(საკ. ინფ.).

„სელტიკის“ მორიგი გამარჯვება

შოტლანდიის ჩემპიონატის V ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — „სელტიკი“ და „ჰიბერნიენი“. მიუხედავად იმისა, რომ პირველი გოლი „ჰიბერნიენის“ ფორვარდმა გაიტანა, „სელტიკმა“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა — 5:3. 4 გოლის ავტორია გლაზგოელთა ცენტრფორვარდი ჯ. მაკ-ბრაიდი. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „გლაზგო რეინჯერსი“ — „ფოლკერკი“ 5:0, „ეირდრიონიენსი“ — „სენტ-მირენი“ 1:0, „ეირ იუნაიტედი“ — „ჰარტ ოვ მიდლოტიენი“ 0:1, „კლაიდი“ — „მადერუელი“ 3:1, „დანდი“ — „კილმარნოკი“ 1:1, „დანფერმლაინ ატლეტიკი“ — „აბერდინი“ 1:1, „სენტ-ჯონსტონი“ — „პარტიკი“ 3:5, „სტერლინგ ალბიონი“ — „დანდი იუნაიტედი“ 1:4.

	თ.	ბ.	ქ.
„სელტიკი“ (გლაზგო)	5	18:5	10
„ეირდრიონიენსი“	5	6:1	9
„გლაზგო რეინჯერსი“	5	17:5	8
„ჰიბერნიენი“	5	21:12	8
„ჰარტ ოვ მიდლოტ“.	5	9:5	7

(საკ. ინფ.).

მხოლოდ 4 ვაკანსია

კიდევ რამდენიმე დღე და ცნობილი გახდება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალების ყველა მონაწილე. ჯერჯერობით ეს უფლება მოპოვებული აქვთ: მოსკოვის „სპარტაკს“, უნგრეთის „დიერს“, პორტუგალიის „ბრაგას“, შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს“, შეეიცარიის „სერვეტს“, ირლანდიის „შემროკ როვერსს“, ბულგარეთის „სლავიას“, ჰოლანდიის „სპარტას“, გფრ-ის „ბავარიას“, ბელგიის „სტანდარტს“ და ავსტრიის „რაპიდს“.

თასის ახლანდელი მფლობელი — გფრ-ის „ბორუსია“ გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაებმება. ვაკანტური დარჩა მხოლოდ 4 ადგილი.

ნ უცნობი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის შემდგომი ეტაპის ყველა მონაწილე გამოვლინდება 15 ოქტომბერს. ჯერჯერობით ცნობილია ის 10 გუნდი, რომლებიც განაგრძობს საპატიო ჯილდოსთვის ბრძოლას. აი, ისინიც:

„ანდერლეხტი“ (ბელგია), „ლინფილდი“ (ჩრდილოეთ ირლანდია), „ჩერვენო ზნამია“ (ბულგარეთი), „ვოიეოდინა“ (იუგოსლავია), „დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია), „ნანტი“ (საფრანგეთი), „სელტიკი“ (შოტლანდია), „აიაკსი“ (ჰოლანდია), „მიუნპენ-1860“ (გფრ) და თასის წლევანდელი მფლობელი, ესპანეთის „რეალი“. როგორც ხედავთ, უცნობია 6 მერვედფინალისტის ვინაობა.

მთავარი მსაჯი... გადადგა

სხვათა შორის

1957 წელს ნიუ-იორკში შედგა „მეგობრული“ მატჩი ს. რეშევსკისა და დ. ბირნს შორის, რომლის დროს პირველად ჭადრაკის ისტორიაში დაკავებული თანამდებობიდან გადადგა... მთავარი მსაჯი, ჰანს კმოხი.

აი, რა იყო ჰ. კმოხის გადადგომის მიზეზი.

I პარტიაში ბირნმა დროს გადააცილა, რაც ვერ შეამჩნია რეშევსკიმ, რადგან თავად „ალამზე ეკიდა“. ამასთან, მას სვლების ჩაწერისთვის თავი მიენებებინა. საზრიანმა ბირნმა მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. რეშევსკიმ მიიღო წინადადება. მაგრამ პარტიაში გაკეთებული სვლების აღდგენისას, რეშევსკიმ შენიშნა, რომ ბირნმა დროს გადააცილა და მისთვის წაგების მისჯა მოითხოვა. მაგრამ ჰ. კმოხმა უსაფუძვლოდ მიიჩნია პრეტენზიები და რეშევსკის მიერ მიღებული ყაიმი გააფორმა.

II პარტიის დროს ორივე მეტოქემ დროს გადააცილა. ეს უფრო ადრე რეშევსკიმ შეამჩნია. მაგრამ ჰ. კმოხმა უარყო რეშევსკის მოთხოვნები, რადგან თავისი სვლის დროს ბირნს თავად შეეძლო პროტესტი განეცხადებინა. აქ ბირნმა სწრაფად მოისაზრა და თქვა: „მაშინ მე მოვითხოვ რეშევსკის წაგება მიუსაჯოთ“.

III პარტია რეშევსკის უპირატესობით გადაიდო. იმავე საღამოს მსაჯთა კოლეგიამ ითათბირა და II პარტია, რომელშიც ორივე მეტოქემ დროს გადააცილა, ყაიმით დამთავრებულად სცნო. ამის შემდეგ ბირნი არ გამოცხადდა „მეგობრული მატჩის“ IV პარტიის სათამაშოდ. ჰ. კმოხმა მას წაგება მიუსაჯა, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ გააუქმა მთავარი მსაჯის გადაწყვეტილება და დაადგინა: პარტია გადათამაშდეს როცა ბირნი „დამშვიდდება“.

ყველაფერი ეს აღემატებოდა ჰ. კმოხის მოთმინებას. მან უარი განაცხადა მთავარი მსაჯის პოსტზე. საჭირო შეიქმნა სხვა მსაჯის მონახვა, რომელიც ბოლომდე „გაულებდა“ ორი ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკის ორთაბრძოლას.

საბოლოოდ, მატჩი მოიგო რეშევსკიმ — 7:3.



200 მეტრზე ვაუთა რბენაში ევროპის ჩემპიონი და 100 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედალოსანი ფრანგი რ. ბამბიუკი ბევრს მხოლოდ მძლეოსნობის თაყვანისმცემელი ჰგონია, თუ თვით ბამბიუკს ჰკითხავთ, იგი უმალ გიპასუხებთ, რომ „სპორტის დედოფლის“ რაინდი, „მეფის“ (ფეხბურთის) დიდი მოყვარულია, ამიტომ ხშირად შეჯიბრებებშიც მონაწილეობს ხოლმე. უფრო მეტიც, ბურთით ვარჯიში მისი ერთნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

სურათზე: რ. ბამბიუკი ბურთით.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ფეხბურთს ძალზე ცოტა რამ აქვს საერთო სპორტთან. სამაგიეროდ, მასში უხვად არის დანერგილი ილეთები, რომლებმაც წამში ალ-ალამათი კაცი შეიძლება ხეიბრად აქციოს. ფოტოს, რომელიც ამოღებულია პოლონურ ჟურნალ „სპორტოვეციდან“, ასეთი სათაური აქვს: „ინვალიდობის კანდიდატები“. მართლაც, უკეთესად ვერ გამოხატავ ამერიკული ფეხბურთის არსს.





მაინის ფრანკფურტში გამართულ ველოსიპედისტთა მსოფლიო პირველობაზე ქალთა სპრინტში თავი ისახელა ხარკოველმა ი. კირიჩენკომ. მან ჩემპიონის ოქრო დიდი მედალი დაიმსახურა და უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ტულელი ვ. სავინა. ტურნირში III საპრიზო ადგილი წილად ხვდა გდრ-ის წარმომადგენელ ჰ. ბლომნერს. სურათზე: ი. კირიჩენკო გამარჯვების შემდეგ საპატიო წრეს უვლის ფრანკფურტის ტრეკს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

„ლელო“ „ვეჩერნაია თბილისი“

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-46, შემანქანეთა ბიურო—3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

12816